

ინფორმაცია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ
„გარემოს ეროვნული სააგენტო“-ს 2022 წლის 4 ნოემბრის N21/6660 წერილში მოცემულ
შენიშვნებზე რეაგირების თაობაზე

N	შენიშვნის შინაარსი	რეაგირება შენიშვნებზე
1	გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, პროექტის ფარგლებში დაგეგმილია საჰაერო 35 კვ სიმძლავრის ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა. წარმოდგენილი არ არის ეგზ-ის საყრდენების განთავსების ადგილების GPS კოორდინატები, ასევე საყრდენები არ არის ასახული shp ფაილებში.	ბაზვი 2 ჰესის პროექტის ფარგლებში დაგეგმილი საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის საყრდენების განთავსების ადგილების GPS კოორდინატები მოცემულია გზშ-ს ანგარიშის 4.3.3.1. პარაგრაფში (იხილეთ ცხრილი 4.3.3.1.1.). შენიშვნის გათვალისწინებით საყრდენების განთავსების წერტილები შეტანილია SHP ფაილებში და თან ერთვის დოკუმენტაციის ელექტრონულ ვერსიაში.
2	გზშ-ის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის, მე-4 ნაწილით განსაზღვრული საკითხი, კერძოდ „ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობით გათვალისწინებული მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი გამონამუშევრის განთავსების ტერიტორიის (სანაყარო) ალტერნატივების შესახებ, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით“.	შენიშვნა გათვალისწინებულია: ფუჭი ქანების სანაყაროების მოსაწყობი ტერიტორიების ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ინფორმაცია მოცემულია გზშ-ს ანგარიშის პარაგრაფში 3.8. ალტერნატიული ვარიანტების SHP ფაილები თან ერთვის დოკუმენტაციის ელექტრონულ ვერსიას .
3	სათანადოდ არ არის გათვალისწინებული N38 სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული შემდეგი საკითხი: „საქმიანობის განხორციელების ადგილი საკადასტრო კოდ(ებ)ისა და GPS კოორდინატების მითითებით, საპროექტო ობიექტის ყველა შემადგენელი ელემენტების ერთიან shp ფაილებთან ერთად (შეტბორვის უბნის კონტურების მითითებით)“. ამასთან shp ფაილებში ასახული უნდა იქნეს საპროექტო ჰესის შეტბორვის კონტურები - საშუალო, მაქსიმალური და კატასტროფული;	შენიშვნა გათვალისწინებულია: საპროექტო არეალში მოქცეული მიწის ნაკვეთების საკადასტრო კოდები მოცემულია გზშ-ს ანგარიშის მე-4 პარაგრაფში, იხილეთ ცხრილი 4.1., ხოლო ჰესის კომუნიკაციების განთავსების ადგილების GPS კოორდინატები SHP ფაილების სახით თან ერთვის დოკუმენტაციის ელექტრონულ ვერსიას.
4	გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ სადაწნო მილსადენის დერეფნის ზოგიერთ მონაკვეთზე გათვალისწინებულია ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა. წარმოდგენილი უნდა იქნეს დეტალური ინფორმაცია ნაპირსამაგრი სამუშაოების შესახებ (ადგილმდებარეობა, პარამეტრები, ტექნიკური პირობები, გარემოს კომპონენტებზე ზემოქმედების შეფასება, გარემოს აღწერა და ა.შ.), მათ შორის ნაპირსამაგრი უბნების ადგილმდებარეობები ასახული უნდა იქნეს სქემატურ ნახაზებზე და shp ფაილებში;	შენიშვნა გათვალისწინებულია: იხილეთ გზშ-ს ანგარიში 4.4.7.
5	გზშ-ის ანგარიშში მითითებულია, რომ ბაზვი 2ა ბანაკის ტერიტორიაზე საჭირო ტექნიკური წყლის	შენიშვნა გათვალისწინებულია:

<p>აღება მოხდება მდ. ბაზვისწყლიდან, შემდეგ GPS კოორდინატებზე: X-26988, Y-4639994.</p> <p>აღნიშნული კოორდინატებით ტერიტორია არ იდენტიფიცირდება და საჭიროებს დაზუსტებას. ასევე, დასაზუსტებელია ჩამდინარე წყლების ჩაშვების წერტილის GPS კოორდინატები, კერძოდ: X-720776 Y- 4683739.</p>	<p>იხილეთ გზშ-ს ანგარიში პარაგრაფი 4.4.8.</p>
---	---